ამადეო ბორდიგა 1946

ფუნდამენტური საკითხები მარქსისტული ორიენტაციისთვის*

1. იმ გაგებით რომ მარქსიზმი დაკავშირებულია ისტორიულ ტრადიციასთან, მარქსიზმი არ არის არჩევანის საკითხი დაპირისპირებულ მხარეებს შორის.
2. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ორიენტაცია; წინააღმდეგობრივი საკითხები საწარმოო ძალებსა და სოციალურ ფორმაციებს შორის; კლასები; კლასობრივი ბრძოლა; პარტიული კონფორმიზმი [რეფორმიზმი, ანტიფორმიზმი].
3. თანამედროვე ისტორიული პერიოდის მახასიათებელთა ინტერპრეტაცია; ისტორიული ფორმების დიალექტიკური განვითარება.
    - პოლიტიკური მაგალითი- მონარქია და რესპუბლიკა.
    - ეკონომიკური მაგალითი- მერკანტილიზმი.
    - სოციალური მაგალითი- ოჯახი.
    - იდეოლოგიური მაგალითი- რელიგიური იდეოლოგია.
4. კაპიტალისტური ციკლი: რევოლუციური ფაზა, ევოლუციური და დემოკრატიული ფაზა, ფაშისტური და იმპერიალისტური ფაზა.
5. პროლეტარული სტრატეგია დემიკრატიულ-პაციფისტურ საფეხურზე, პროლეტარული ტაქტიკა იმპერიალისტურ და ფაშისტურ ფაზაში.
6. რუსეთის რევოლუცია: შეცდომები მესამე ინტერნაციონალის, პროლეტარული რეჟიმის რეგრესი რუსეთში.
7. პროლეტარული სტრატეგიის პრობლემები; ისტორიული უარყოფა ლიბერალ-დემოკრატიული მოთხოვნების.

მეთოდი

ნებისმიერი გამოკვლევის ბაზისი უნდა იყოს ისტორიული პროცესნის, განვითარების არსებული ტენდნციისა და სოციალური მოვლნების ობიქტური ანალიზი.

---

* მთარგმნელი: საბა ტლაშაძე

ფუნდამენტი მატერიალური რესურსების შესწავლის, რითაც საზოგადოებრივი ჯგუფები იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს, არის წარმოების ტექნიკის გამოკვლევა, განვითარების იმ ტენდენციებთან ერთად სადაც წარმოიქმნება ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა ეპოქაში, ეს ფაქტორები (წარმოების ტექნიკა, ეკონომიკური ურთიერთობები) განსაზღვრავენ ზედნაშენს (ყველა ისტორიულ ეპოქაში), რასაც ქმნის სამართლებრივი, პოლიტიკური, სამხედრო ინსტიტუტები და დომინირებული იდეოლოგია.

დაპირისპირება საწარმოო ძალებს (ადამიანური შრომა, ხელსაწყოები და მექანიკური საშუალებები რაც გამოიყენება წარმოებაში) და სოციალურ სოციალურ ფორმაციას შორის წარმოადგენს კლასობრივ ბრძოლას, სადაც არსებობს ანტაგონისტური ეკონომიკური ინტერესები. ბრძოლა დასკვნით ეტაპზე იღებს შეიარაღებული დაპირისპირების ფორმას პოლიტიკური ძალის დაპყრობის მიზნით. ანალიზის ეს მეთოდი შეიძლება აღინიშნოს როგორც ისტორიული მატერიალიზმი; დიალექტიკური მატერიალიზმი; ეკონომიკური დეტერმინიზმი; მეცნიერული მატერიალიზმი ან კომუნისტური კრიტიკა.

სოციალური მოვნელების ასახსნელად მნიშვნელოვანია შედეგები დავაკავშიროთ ფაქტებთან და არა პოსტულატებთან, მითებთან, ღვთისმეტყველებასთან, „სამართლიანობის“ პრინციპთან, ან ბუნებრივ ეთიკასთან, როგორიცაა მაგალითად სამართლიანობა, თანასწორობა, ძმობა და სხვა აბსტრაქციებთან, რომელნიც მოკლებულნი არიან აზრს. უაღრესად მნიშვნელოვანია, საბოლოო დასკვნისას არ მოექცე დომინანტი იდეოლოგიის ან ილუზორული პოსტულატების გავლენის ქვეშ. დიალექტიკური მატერიალიზმი არის ერთადერთი ის, რასაც შეუძლია დაძლიოს დაპირისპირება ერთი მხრივ უწყვეტ, მკაცრ თეორეტიკულ ბმებსა და მეორე მხრივ ფორმალურ ცნებებში გამოსახული, დადგენილი დასკვნების კრიტიკის შესაძლებლობას შორის.

საწარმოო ძალები გამოიყენება წარმოებაში, წარმოების ფორმის წესების მიხედვით. ამ ფორმებით ჩვენ ვიგებთ განვითარებული წარმოებისა და სოციალური აქტივობების ხასიათს. ვიგებთ რომ ეს ფორმები განმტკიცდება ოჯახით, სამხედრო ინსტიტუტებით, რელიგიური მოძღვრებებით და პოლიტიკური სწავლებებით. სახელმწიფო წარმოადგენს პრეროგატივებისა და ჩაგვრის ერთიანობას, დკავშირებულია (სახელმწიფო) ეკონომიკურ და სამართლებრივ წესებთან, რისი მეშვეობითაც ებრძვის არსებული წარმოების ფორმისგან ყველა სახის გადახრას. საზოგადოება, მოცემული ფორმით იარსებებს იმდენხანს, რამდენხანსაც საწარმოო ძალები იარსებებენ წარმოების არსებუ ფორმაში. მოცემულ ისტორიულ მომენტში ეს

წონასწორობა ისწრაფვის დარღვევისკენ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის: ტექნოლოგიური პროგრესი, პოპულაციის ზრდა, საკომუნიკაციო ქსელების განვითარება, საწარმოო ძალების ზრდა. ყოველივე ეს ისწრაფვის ტრადიციული ფორმების დამსხვრევისკენ და როდესაც აღმოვჩნდებით რევოლუციის პირისპირ, საზოგადოებრივი ერთობა თავად მოახდენს საკუთარი თავის ორგანიზებას ახალ ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებში. ახალი ფორმები ანაცვლებენ ძველ ფორმებს.

დიალექტიკური მატერიალიზმი კოლექტიურ მოვლენებზე აკეთებს აღმოჩენებს და დასკვნებს, მეცნიერული ექსპერიმენტული მიდგომით. პრობლემების მოგვარების მიზნით დასკვნები კეთდება იმ მეთოდის საწინააღმდეგოდ, რომელსაც იყენებენ მოწინავე რელიგიური, სამართლებრივი, ფილოსოფიური სკოლები, რომლებიც განსაზღვრავენ კოლექტიური ქმედების სტანდარეტებს, განმარტავენ ყოფიერებას როგორც ინდივიდუალური სულის და გონების არსებობას იურიდიულ, სამოქალაქო სუბიექტში, არსებული სახის ეკონომიკურ პოლიტიკაში და ა.შ. ისნი, ვისაც სწამთ ინდივიდუალურობის, ღირსების, თავისუფლების, მოქალაქეობრივი ვალდებულების არ მისდევენ მარქსისტუ აზროვნებას. ადამიანები მოქმედებენ საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც წარმოიქმნება მატერიალური აუცილებლობიდან, ეს ვრცელდება ერთდროულად ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფზე. ისინი ეჯახებიან შეზღუდვებს, რასაც ქმნის გარემოში არსებული სოციალური სტრუქტურა, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საწინააღმდეგოდ. ადამიანები მოქმედებენ ინდივიდუალურად და კოლექტიურად განსაზღვრული თამაშის წესების მიხედვით, ეს წესები კი განსაზღვრავს აზროვნების, ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმას.

კლასები, კლასობრივი ბრძოლა, პარტია.

მარქსისტული ხედვით, კლასი არ არის მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკური მონაცემი, ესაა ორგანული მოქმედი ძალა, რომელიც ავლენს საკუთარ თავს ეკონომიკური, საწარმოო პირობებისა და ინტერესების კონვერგენციის დროს, საერთო ბრძოლაში.

ამგვარ პირობებში, მოვლენებს წარმართავს კლასობრივი პილიტიკური პარტია. პარტიის ქმედებებით პროცესები აღწევენ კულმინაციას, ერთიანობა ფუნქციონირებს ისტორიის შიგნით და ხასიათდება ასკარა ეფექტურობითა და მაღალი დინამიკით. პარტიას აქვს შესაძლებლობა წარმატებას მიაღწიოს მოვლენების

განვითარების თეორეტიკულ შემეცნებაში, შესაბამისად ეძლევა საშუალება გავლენა იქონიოს მათზე.

მიუხედავად იმისა რომ პრობლემები არის რთული და კომპლექსური, არავის შეუძლია განსაზღვროს პრინციპები და დირექტივები გამარტივების გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიჩლია გამოვყოთ სამი ძირითადი ტიპი პოლიტიკური მოძრაობების.

კონფორმიზმი: მოძრაობა, რომელიც ცვლილებების აკრძალვით იბრძვის იბრძვის ის ფორმები და ისტიტუტები, რომლებიც ფლობენ ძალას. ესენი არიან რელიგიური, სამართლებრივი და ფილოსოფიური ხასიათის ინსტიტუტები.

რეფორმიზმი: მოძრაობა, რომელიც არ ხასიათდება მკვეთრი, ძლიერი მიდრეკილებით დაამხოს ტრადიციული ინსტიტუტები, გამოიყენოს საწარმოო ძალების ძლიერი ზეწოლა მათზე. მიმართავს გრადუალურ, პრაქტიკულ ცვლილებას არსებული წესრიგის.

ანტიფორმიზმი: მოძრაობა, რომელიც პრაქტიკულად ტავს ესხმის ძველ ფორმებს, ისწრაფვის დაამხოს ძველი რეჟიმი და შეცვალოს ის ახალი ფორმებით.

კონფორმიზმი, რეფორმიზმი, ანტიფორმიზმი.

მარქსისტული დიალექტიკა, არის საერთო სურათის შექმნა ისტორიული მოვლენების, კლასობრივი დომინაციის კუთხით, ყველა ისტორიული ციკლი, რომელიც იბადება რევოლუციურად გადის რეფორმისტულ და კონსერვატიულ ფაზებსაც. უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბება, პროლეტერიატის რევოლუციური გამარჯვებით (რასაც მარწქსი უწოდებს კაცობრიობის პრეისტორიის დასასრულს), ასევე ჯდება ზემოთ წარმოდგენილ ილუსტრირებაში.

მეცნიერული სოციალიზმის კლასიკურ აღწერილობაში, ენგელსი ჩანს იაზრებს ისტორიული პროცესების საერთო წესს და კანონს, როცა იყენებს ისეთ ტერმინებს როგორიცაა: „პროგრესი უპირველეს ყოვლისა“, „მსოფლიო პროგრესი“ პროპაგანდის ეს მკაფიო ფორმები, რასაკვირველია არავინ ის არ უნდა მიიღოს, თითქოს მას აღმოეჩინოს რეცეპტი კაცობრიობისა და მსოფლიოს ევოლუციის. ეს ფორმუნა არის შემცვლელი ბურჟუაზიული გაგებით ევოლუციის, ცივილიზაციის, პროგრესის და ა.შ.

ის უპირატესობა, რაც გააჩნია კვლევის დიალექტიკურ მეთოდს, არის მთლიანად რევოლუციური. იგი ვლინდება იმგვარი თეორეტიკული სისტემების

ნგრევაში, რომლებიც განამტკიცებენ დომინაციას პრივილიგირებული კლასის. ამ სასაფლაოზე კი ჩვენ უნდა შევქმნათ არა ახალი მითები, არა ახალი მრწამსი, არამედ ფაქტების რეალისტური ასახვა.

მაგალითად, სწორი მარქსისტული ფორმულირება ვერ იქნება: ერთ დღეს, პროლეტარიატი მოიპოვებს პოლიტიკურ ძალას, გაანადგურებს კაპიტალისტურ სისტემას, დაამყარებს კომუნიზმს. მარქსისტულია მთლიანად საპირისპირო: მხოლოდ პროლეტარიატის კლასად ორგანიზება, პროლეტარული სამხედრო ინსტიტუტების შექმნა, გააჩენს შესაძლებლობას კაპიტალისტური ეკონომიკის ძალის განადგურების, შესაძლებლობას შეიქმნას არაკაპიტალისტური, არაკომერციული ეკონომიკური სისტემა. რათქმაუნდა, კაპიტალიზმის განსხვავებულს დასასრულს ვერ გამოვრიცხავთ, მაგალითად გადასვლა პირველყოფილურ საზოგადოებაზე, საომარი მოქმედებებით გამოწვეული მსოფლიო კატასტროფა, პათოლოგიური დეგრადაცია კაცობრიობის (ჰიროსიმა და ნაგასაკი, შეიძლება ჩავთვალოთ გამაფრთხილებელ ფაქტებად), მორალური დეგრადაცია, რასაც ამ ეტაპზე ზუსტად ვერ განვჭვრეტთ.

მოცემული დროის რევოლუციური კომუნისტური მოძრაობა უნდა შეფასდესა, არა მხოლოდ ყველანაირი სახის კონფორმიზმისა და რეფორმიზმის თეორეტიკული დესტრუქციით, არამედ პრაქტიკულობითაც. მას ვერ ექნება კონფორმიზმთან ან რეფორმიზმთან საერთო ხედვა. კომუნისტური რევოლუციური მოძრაობა, უპირველესყოვლისა, ემყარება ისტორიულად შეძენილ ცოდნას, რომ კაპიტალიზმის რევოლუციური ფაზა დასრულადა, იქიდან გამომდინარე, რომ მის მიზანს აღარ წარმოადგენს პრეკაპიტალისტური ფორმის განადგურება ან რეზისტენცია პრეკაპიტალისტური სისტემის რესტავრაციასთან. ეს არ არის უარყოფა იმის, რომ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ვითარდება. ამ გარემოში პროლეტარიატს ქონდა შესაძლებლობა და მან ეს გააკეთა კიდეც, დაეგმო კაპიტალისტური სისტემა დიალექტიკური მანერით საკუთარ დოქტრინულ ხედვაში, რასაც პრაქტიკაშიც ახორციელებდა.

ზოგადი პრინციპების მიხედვით, არსებული ინსტიტუტების, პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციების მახასიათებელთა შესწავლის შემდეგ, ჩვენ ვერ ვიტყვით რომ ის თავისთავად კარგია ან ცუდი. ისტორიის დიალექტიკურ ინტერპრეტაციას თუ მივყვებით აღმოვაჩენთ, რომ ნებისმიერი ინსტიტუტი ასრულებდა საკუთარ როლს და ქონდა მნიშვნელოსანი გავლენა საზოგადოებაზე, ჯერ რევოლუციურ, შემდეგ რეფორმისტულ და ბოლოს კონსერვატიულ დონეზე.

ისტორიული ფორმების დიალექტიკური ევოლუცია

საკითხი იმგვარად დგას, რომ პრობლემის ნებისმიერი ასპექტი უნდა განვიხილოთ, საწარმოო ძალებსა და სოციალურ ფაქტორებს შორის, არსებულ ურთიერთობის ჭრილში.

A

ესარის მეტაფიზიკური პოზიცია, რაც ავლენს: ავტორიტარიზმი ან თავისუფლება; როიალიზმი ან რესპუბლიკანიზმი; არისტოკრატია ან დემოკრატია. პლატონი, პოლიტიკური მეცნიერების, პირველ საექსპერიმენტო სისტემაში ამსხვრევს კანონიერების მისტიკურ აბსოლიტიზმს. არისტოტელე აგრძელებს პლატონისეულ მსჯელობის ხაზს და გამოყოფს ძალაუფლების სამ ტიპს: ძალაუფლება-ერთის; ძალაუფლება-რამდენიმე ადამიანის; ძალაუფლება-ბევრის. განასხვავებს კარგ და ცუდ ფორმებს: მონარქია და ტირანია; არისტოკრატია და ოლიგარქია; დემოკრატია და დემაგოგია.

თანამედროვე ანალიზი მარქსიდან მოყოლებული უფრო მეტად სიღრმისეულია. თანამედროვე ისტორიულ პერიოდში, თითქმის ყველა პოლიტიკური ფორმულა პროპაგანდის, იყენებს ძალიან ცუდ მოტივს რელიგიური ცრუმორწმუნეობის, სამართლებრივი ფორმებისა და ფილოსოფიის. აუცილებელია დავუპირისპირდეთ ამ ქაოტურ იდეებს- თანამედროვე საზოგადოებაში, ინტერესთა შორის არსებული ურთიერთობების ანარეკლს.

ანალიზის ამ მეთოდის უკეთ გასაგებად საჭიროა შევაფასოთ წინმსწრები ისტორიული ეპოქები და მათში არსებული ურთიერთობები.

B

წარმოების პირველი ფორმა იყო კომუნისტური. კერძ საკუთრება ჩნდება მოგვიანებით, სისტემა უფრო მეტად კომპლექსური და ეფექტური. ამ ფორმიდან საზოგადოება კვლავ უბრუნდება კომუნიზმს. ეს თანამედროვე კომუნისტური ფორმა იქნება განუხორციელებელი, თუ არ შეიცვლება პრიმიტიული კომუნიზმი, რომელიც განადგურდა კერძო საკუთრების სისტემით. მარქსიზმი არის ხელსაყრელი პირობა ამ ტრანსფორმაციისთის.

მერკანტილურმა ეკონომიკამ, სადაც საქონელი აკმაყოფილებს ადამიანურ მოთხოვნილებებს, შეცვალა წარმოების პრიმიტიული ფორმა.

საქონელი ხდება გაცვლის საგანი, ვითარდება საქონელგაცვლა ფულად ფორმასთან ერთად. ამით მოხდა აშკარად დიდი სოციალური რევოლუცია. მერკანტილურმა ეკონომიკამ შესაძლებელი გახადა განსხვავებული ინდივიდების ადაპტირება მწარმოებლური შრომის დივერსიფიკაციასთან (შრომის დანაწილება), გააფართოვა სოციალური ცხოვრების სფერო.

ნებისმიერს შეუძლია გააცნობიეროს ცვლილებები ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე, იმ ფორმულის მიხედვით, რომ ეკონომიკური ორგანიზაციის ტიპები (მონათმფლობელური, ფეოდალური,კაპიტალისტური) ეფუძნება მერკანტილიზმის საერთო პრინციპებს.

მერკანტილიზმის მოსპობა დღეს შესაძლებელია, რადგან დღეს შესაძლებელია კოლექტიური შრომა და კონცენტრირება საწარმოო ძალების. კაპიტალიზმი კი, როგორც მერკანტილური ეკონომიკის უკანასკნელი ფორმა, ცდილობს დააბრკოლოს განვითარების ამგვარი ტენდენცია, სახმარი ღირებულებისა და ადამიანური შრომის საქონლად ცირკულირებით.

C

სხვადასხვა სოციალური სისტემები, რომლებმაც შეცვალეს პრიმიტიული ინდივიდუალიზმი, გახადეს ინდივიდუალური ცხოვრება და საქმიანობა უფრო და უფრო კომპლექსური, ვერ შეფასდება ხელსაყრელად ან არახელსაყრელად. ისინი უნდა განვიხილოთ იმ ისტორიულ გარემოში, სადაც შეიქმნენ და განვითარდნენ.

ოჯახის ინსტიტუტი გვევლინება, როგორც პირველი სოციალური ფორმა კაცობრიობისთვის, მაშინ როდესაც, კავშირი მშობლებსა და შთამომავლობას შორის აუცილებელი იყო გადარჩენისთვის. ძალაუფლების პირველ ფორმასაცვხვდებით ოჯახში, ჯერ დედის, ხოლო შემდეგ მამის სახით. ამ საფეხურზე, როდესაც შესაძლებელი გახდა კოლექტიურად ორგანიზებული ცხოვრება, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა პირველ ორგანიზებულ საზოგადოებამდე, სახელმწიფომდე, ჩვენ ვხდებით რევოლუციური ცვლილების მომსწრენი. ახალი სოციალური სისტემა შეიცავდა და აწესრიგებდა ოჯახის ინსტიტუტს, პირველ ქალაქებსა და სახელმწიფოებში. ჯერ არისტოკრატიულ, შემდეგ ბურჟუაზიულ რეჟიმის პირობებში.

სახელმწიფოს განსხვავებული ფორმები: მონარქია და რესპუბლიკა ისტორიულ გარემოებებში, წაერმოგვიდგება რევოლუციურ, რეფორმისტულ და კონსერვატიულ ფაზებში. პირველი მონარქია არის პოლიტიკური გამოხატულება, ტერიტორიის დანაწილების საკითში. შემდგომ ეპოქაში,

მონარქია ცდილობს შექმნას და განავითაროს ეროვნული სახელმწიფო სისტემა, წინააღმდეგ სამთავროებისა და წვრილი თავადაზნაურობისა, რასაც ქონდა რეფორმისტული ფუნქცია. დანტე იყო მონარქისტული რეფორმიზმის წარმომადგენელი.

უფრო მოგვიანებით მონარქია და რესპუბლიკა ექცევა ბურჟუაზიული ძალის გავლენის ქვეშ. რესპუბლიკური პარტიებისთვის იქმნება შესაძლებლობა რევოლუციური, რეფორმისტული და კონსერვატიული ფაზების განვითარების. მაგალითისთვის, რევოლუციური ფაზა იყო ბრუტუსის მიერ ტარკვინიუსის (ტარკვინიუს ამაყი, რომის უკანასკნელი მეფე. მისი მეფობის შემდეგ იწყება რომის რესპუბლიკის ხანა.) დამხობა. რეფორმისტული- გრაკხუსების მხრიდან არისტოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მცდელობა; კონფორმისტული- კატონის, ციცერონის ეპოქა. ანალოგიური მაგალითი, შეგვიძლია მოვიყვანოთ საფრანგეთის სამი რესპუბლიკიდან- 1793, 1848, 1871 წწ. (1793-ანტიფორმიზმი; 1848-რეფორმიზმი; 1871- კონფორმიზმი.)

D

კრიზისი, ეკონომიკურ ფორმებში, აირეკლება არა მარტო პოლიტიკუ, სოციალურ ინსტიტუტებში, არამედ რელიგიურ წარმოდგენებსა და ფილოსოფიურ მოძღვრებებში. ამგვარ კრიზისები უკავშირდებიან ისტორიულ გარემოებებს. ყველამ, საფუძვლიანი ანალიზისთვის უნდა განიხილოს სამართლებრივი ნორმები, რელიგიური წარმოდგენები და ფილოსოფიური მოძღვრებები რევოლუციურ, რეფორმისტულ და კონფორმისტულ დონეებზე.

მოძრაობა, რომელიც ატარებდა ქრისტეს სახელს, იყო ანტიფორმისტული და რევოლუციური, აცხადებდა რა, რომ ყველა ადამიანში არსებობს ღვთაებრივი წარმოშობის სული, განკუთვნილი უკვდავებისთვის. მოძრაობის სოციალური პოზიცია იყო რევოლუციური, მჩაგვრელი და მონათმფლობელი კლასის წინააღმდეგ. როცა კანონს ადამიანი გამოჰყავს ტრანზაქციის ობიექტად, როცა ის საქმონელგაცვლაშ მონაწილეობას იღებს, როგორც ცხოველი, განცხადება მორწმუნეთა თანასწორობის, ანტიკურ პერიოდში, არის სლოგანი ბრძოლის „სამართლის“, არისტოკრატიის და არმიის წინააღმდეგ. ხანგრძლივი ისტორიული პროცესებისა და მონათმფლობელობის გაუქმების შემდეგ, ქრისტიანობა სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად იქცა. ბლნელი შუასაუკუნეების შემდგომ ევროპაში, ჩვენ ვხვდებით ქრისტიანობის

რეფორმისტულ ციკლსაც, რაც ეკლესიასთან დაკავშირებული, მჩაგვრელი და არისტოკრატიული ფენების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლინდა.

დღეს, არ არსებობს, უფრო მეტად კონფორმისტული იდეოლოგია, ვიდრე ქრისტიანობაა. დღეს, ძლიერი ქსელი ეკლესიების და რელიგიური კონფენსიების უთავსდება, არის კაპიტალისტური სისტემის სამსახურში. ის გამოიყენება თავდაცვის ფუნდამენტურ საშუალებად, პროლეტარული რევოლუციის საფრთხის წინააღმდეგ.

მოცემულ ისტორიულ პერიოდში, არსებული სოციალური ურთიერთობების გათვალისწინებით, თითოეული ინდივიდი, დაქვემდებარებულია აქტიურ ან პასიურ კომერციაზე. ცრუმორწმუნეობა და სიკვდილის შემდგომი ცხოვრების ილუზია კი, კეტავს მას მორალურ ჩარჩოებში. რაც სხვა არაფერია, თუ არა ადამინის გონებაში არეკლილი ბურჟუაზიული საზოგადოება, დამყარებული კერძო საკუთრებაზე. შეუძლებელია წარიმართოს ბრძოლა კერძო საკუთრთრების წინააღმდეგ, ანტი რელიგიური პოზიციის გარეშე.

კაპიტალისტური ციკლი

საწყის ეტაპზე, ბურჟუაზია გვევლინება რევოლუციურ კლასად, ის წარმართავს ბრძოლას ფეოდალური, კლერიკალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ფლობდა და აერთიანებდა საწარმოო ძალებს: მიწაზე მომუშავე გლეხობას და გილდიებში მომუშავე ხელოსნებს.

საჭიროება, ფეოდალური ხუნდებიდან განთავისუფლების ჩნდება თავისთავად, საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიურმა რესურსებმა, მოახდინეს მშრომელების გაერთიანება დიდ მასებად. იმისთვის, რომ შექმნილიყო შესაძლებლობა, ახალი ეკონომიკური ფორმის განვითარების, საჭირო გახდა ტრადიციული რეჟიმის ძალით დამხობა. პირველი გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზიული კლასი, ამყარებს ძლიერ დიქტატურას, რათა საბოლოოდ აღკვეთოს მონარქებისა და ფეოდალების მცდელობა, ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდების.

A

კაპიტალისტური კლასი, ისტორიაში ჩნდება, როგორც ანტიფორმისტული (რევოლუციური) ძალა. წარმართავს პროცესს ყველა

მატერიალური და იდეოლოგიური წინაღობის მოსასპობად. მისი მოაზროვნენი მკაფიოდ ემიჯნებიან ძველი მსოფლიოს წარმოდგენებს, გამოდიან თანასწორობის და პოლიტილური თავისუფლების იდეით; წარმომადგენლობითი ინსტიტუტების აუცილებლობით; მტკიცებით, რომ ძალაუფლება გამოვლინდება კოლექტიურ სურვილში, რომელიც უნდა გაცხადდეს თავისუფლად შეზღუდვების გარეშე.

ამ ფაზაზე ლიბერალური და დემოკრატიული პრინციპები ვლინდებიან რევოლუციურად/ანტიფორმისტულად, იმდენად რამდენადაც ის არ იყენებს მოქმედების პაციფისტურ და სამართლებრივ მეთოდებს. ირჩევს მოქმედების აშკარა ჩალადობრივ გზას, რევოლუციურ ტერორს, რითაც გამარჯვებული კლასი, იცავს საკუთარ თავს, ძველი სისტემის რესტავრაციის მცდელობისგან.

B

მეორე ფაზაზე კაპიტალისტური რეჟიმი წარმოდგება, როგორც განმტკიცებული, ჩამოყალიბებული სისტემა. ბურჟუაზია, საკუთარ თავს წარმოადგენს, როგორც საზოგადოების კოლექტიური კეთილდღეობის განმავითარებელს. რეალურად კი ავითარებს საწარმოო ძალებს, მსოფლიოზე გავლენის მოპოვების შესაძლებლობას, რაც არის პროგრესიული და რეფორმისტული ციკლი კაპიტალისტური სისტემის. ამ ფაზაზე, საპარლამენტო დემოკრატია, ფუნქციონირებს რეფორმისტული ორიენტაციით. მიმართულების განმსაზღვრელი კლასი, დაინტერესებულია, მისი ორგანიზაცია იყოს, შესაბამისი მშრომელთა კლასის ინტერესებისა და მოთხოვნილებების ასახვა რეპრეზენტაციისტვის. ხელისუფლება აცხადებს პრეტენზიას, დააკმაყოფილოს ეს კლასი, ეკონომიკური ღონისძიებებით და მართლმსაჯულებით, რომდელიც წარმართავს მათ ცხოვრებას, ბურჟუაზიული სისტემის სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რათა სისტემამ შეძლოს ფუნქციონირება, იყოს სიცოცხლის უნარიანი.

პარლამენტარიზმი და დემოკრატია აღარაა რევოლუციური სლოგანი, შეიძინა რეფორმისტული კონტექსტი, რითაც ქმნის კაპიტალისტური სისტემის განვითარების გარანტიას, კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილების გზით.

C

მესამე ფაზა, არის თანამედროვე იმპერიალიზმი, რახც ხასიათდება ეკონომიკური მონოპოლიზაციით. ბურჟუაზიული ეკონომიკა, ახდენს

საკუთარი თავის ტრანსფორმაციას და კარგავს კლასიკური ლიბერალიზმის მახასიათებლებს. წარმოებისა და დისტრიბუციის ეკონომიკური ინდექსი, რაც არსებობს, არის შედეგი კაპიტალისტური ასოციაციების, პირველ რიგში საბანკო და საფინანსო ორგანიზაციების გავლენის და სამთავრობო ორიენტაციის. პოლიტიკური სახელმწიფო, რასაც მარქსიზმი განმარტავს, არის აღმასრულებელი ორგანო ბურჟუაზიული კლასის, კონტროლისა და ეკონომიკის ადმინისტრირების ორგანო.

ეკონომიკური ძალის კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში, არ უნდა აღვიქვათ, როგორც საფეხური კერძოდან კოლექტიურ ეკონომიკაზე გადასვლის. ამგვარი დაშვების შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვუარყოთ რომ თანამედროვე სახელმწიფო, გამოხატავს უმცირესობის ინტერესებს. ამ ფაზაზე, პოლიტიკური განვითარება ბურჟუაზიული პარტიების ახდენს ჩაგვრის მონოპოლიზირებას ვიწრო ჯგუფში, ტოტალიტარიზმი და ფაშიზმი არის ამის კარგი გასმოხატულება. ეს რეჟიმები, არსებნული ევოლუციის სტადიაზე. ეს რეჟიმები,არსებული ევოლუციის სტადიაზე, ქმნიან ბურჟუაზიული საზოგადოების, ყველაზე უფრო თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას, რაც ვრცელდება გლობალურად, მთელ მსოფლიოზე. პარალელური ასპექტი, მაგვარი პოლიტიკური კონცენტრაციის, გამოვლინდება მცირე ჯგუფის ძლიერი სახელმწიფოების აბსოლუტურ დომინაციაში, სხვა სუსტი სახელმწიფოების აუტონომიის შელახვის ხარჯზე.

კაპიტალისტური მესამე ფაზის განვითარებამ, შეუძლებელი გახადა, წინარეკაპიტალისტური ინსტიტუტების ხელახალი ფორმირება, რადგან ამ ფაზას თან სდევს, ძალიან მაღალი ინდუსტრიული და ფინანსური დინამიკა, რითაც მთლიანად განსხვავდება პრებურჟუაზიული მსოფლიოსგან, ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით.

კაპიტალიზმმა უარყო დემოკრატიული და წარმომადგენლობითი აპარატები, და შექმნა მთლიანად დესპოტური სამთავრობო ცენტრები. ზოგიერთ ქვეყანაში ეს უკვე მოხდა, სადაც არსებობს ერთი, ტოტალიტარული პარტია, იერარქიული ცენტრალიზაცია. ზოგ ქვეყანაში, კაპიტალიზმი კვლავ იყენებს დემოკრატიულ სლოგანებს, მაგრამ ისინი დაცლილინი არიან რეალური შინაარსისგან. აქვთ, ერთი კონკრეტული მიმართულება აბსოლუტური დესპოტიისკენ.

თანამედროვე მსოფლიო პროცესების სწორი ფორმულირება იქნება შემდეგი: პერიოდი დემოკრატიის და ლიბერალიზმის დასრულდა. დემოკრატია, რომელსაც ქონდა რევოლუციური, შემდეგ კი რეფორმისტული

მახასიათებლები, დღეს, შეიცავ ანაქრონიზმის ნიშნაბს და წმინდად კონფორმისტულ მახასიათებლებს.

პროლეტარული სტრატეგია კაპიტალისტური ციკლის სხვადასხვა ფაზებში

A

ფართო ინდუსტრიული მუშათა კლასის ფორმაციის პარალელურად, კრიტიკა ეკონომიკის, მართლმსაჯულების, ბურჟუაზიული პოლიტიკის, ხელს შეწუწყობს ამ პროცესს. ნებისმიერს შეუძლია აღ მოაჩინოს, რომ ბურჟუაზიული კლასი არ ახდენს ადამიანის ემანსიპაციას, პირიქით, ის განამტკიცებს საკუთარ კლასობრივ დომინაციას ექსპლუატაციის სისტემით.

მუშათა კლასი, არასდროს არ იბრძოდა ბურჟუაზიის მხარეს, იმისთვის რომ დაემხო ფეოდალური სისტემა, მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდა კაპიტალისტური რეჟიმი, ცდილობდა აღეკვეთა რეაქციული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების მცდელობა.

პროლეტარული სტრატეგია, ითვალისწინებს განავითაროს იმგვარი ანტიბურჯუაზიული მოძრაობა, რაც ერთდროულად მიზნად დაისახავს განთავისუფლებას ფეოდალური ჩაგვრისგან და კაპიტალისტური ექსპლუატაციისგან. ყველას შეუძლია აღმოაჩინოს, ამ ფაქტის ემბრიონული მანიფესატაცია საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ბაბეფ გრაკხის სახელთან ერთად. ბურჟუაზია, საკუთარი გამარჯვების პირობებში კი ახორციელებს მუშათა კლასის მკაცრ ჩაგვრას, რომელიც იბრძოდა საკუთარი ინტერესებისთვის. 1848 წლის რევოლუციისთვის, თეორია, კლასობრივი ჩაგვრის შესახებ უკვე შექმნილია. ურთიერთობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ნათლადაა წარმოდგენილი, როგორც ურთიერთდაპირისპირებული, როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

პროლეტარიატის დიდი მცდელობა იყო ხელში ჩაეგდო პოლიტიკური ძალა, პარიზის კომუნა, როდესაც პროეტარიატმა დაამხო ნაპოლიეონ მესამე და შექმნეს კომუნა. მნიშვნელოვანი ასპექტი კი ამ ეპიზოდში არის, ბურჟუაზიის ანტიპროლეტარული ალიანსი კონსერვატიულ ძალებთან და პრუსიულ არიმიასთან, მიზნით, დაემხო პროლეტარიატის პირველი მცდელობა, დაემყარებინა საკუთარი დიქტატურა.

B

ბურჟუაზიული ეკონომიკის, რეფორმისტულ ფაზაზე, წარმომადგენლობითი და საპარლამენტო ინსტიტუტების მნიშვნელობა იზრდება.

თეორიულად საკითხი უნდა დაისვას შემდეგ ნაირად: რევოლუციური დოქტრინა უნდა მოიცავდეს, ბურჟუაზიული ინსტიტუტებისა და მისი დამცავი იდეოლოგიების კრიტიკას. დამხობა ბურჟუაზიული დომინააციის და ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარება, მიიღწევა ძლიერი კავშირით ან გრადუალურად საპარლამენტო ლეგალიზმის გამოენებით. პრაქტიკაში საკითხი შემდეგნაირადაა: უნდა ითანამშრომლოს თუ არა მუშათა პარტიამ ბურჟუაზიასთან. წინამდებარე გადასინჯვა მარქსიზმის ვითარდება 1871-1917წწ. რაც ახდენს დოქტრინის ფუნდამენტური საკითხების ფალსიფიკაციას. აყალიბებს ახალ სტრატეგუიას, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციები, მუშათა კლასის, უნდა მოემზადოს კაპიტალისტური ეკონომიკის გრადუალური ტრანსფორმაციისთვის, არსებული სამართლებრივი ჩარჩოების გამოყენებით, პოლიტიკური ინსტიტუტების დაპყრობისთვის. ამ ფაზაზე არსებულმა პოლემიკამ, პროლეტარული მოძრაობა გაყო ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მიმართულებად. საკითხი, ამბოხებული თავდასხმით, ბურჟუაზიული ძლის დამხობის აღარ დაისვა, რასაც მარქსისტების ერთინაწილი დაუპირისპირადა, დაუპირისპირდა თანამშრომლობისა და გაერთიანების ტაქტიკას, საპარლამენტო გეგმასთან. შესაბამისად, დაუპირისპირდნენ ბურჟუაზიული მთავრობის მხარდაჭერის წინადადებას.

C

მესამე ფაზაზე, კაპიტალიზმი, არის საწარმოო ძალების განვითარებისა და საკუთარი ორგანიზაციული წონასწორობის შენარჩუნების გამოწვევის პირისპირ. ამიტომ ის უარს ამბობს ლიბერალურ და დემოკრატიულ მეთოდებზე. გარემოების გათვალისწინებით, ამ ფაზაზე წარმოიქმნება, მუშათა მოძრაობის ორი ალტერნატიული მიმართულება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული კლასის დომინაციის უმკაცრესმა ფორმებმა, განავითარეს შესაბამისი ისტორიული ფაზა, ყველაზე განვითარებული და მოდერნული რისთვისაც კი კაპიტალიზმს მიუღწევია.

ტაქტიკური ხედვისთვის, შეგვიძლია ვთქვათ: მცდარია და ილუზიურია, რომ პროლეტარიატმა უნდა დაიწყოს ბრძოლა, იმ მიზნით, კაპიტალიზმი დაუბრუნდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ მეთოდებს, იქიდან გამომდინარე რომ, დემოკრატიული პოლიტიკის კლიმატი არაა ხელსაყრელი, კაპიტალისტური საწარმოო ენერგიის მაქსიმალიზაციისთვის. იმპერიალიზმის თანამედროვე ფაზაში, რომელშიც მოხდა სასტიკი მსოფლიო ომები, საკითხი პარალელური ქმედების პროლეტარიატასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის ისტორიულად არაა დასმული. ისინი ვინც ვაპირისპიროს ამტკიცებენ, არ წარმოადგენენ მუშათა მოძრაობის ალტერნატიულ ვერსიას, ისინი აკეთებენ არაფერს, გარდა კონფორმისტული კონსერვატივიზმის გამეორებისა.

ერთადერთი ალტერნატივა, რომელიც დღეს არსებობს და რომელსაც კითხვები უნდა დაუსვათ არის შემდეგი: განვითარებული მსოფლიო კაპიტალისტური რეჟიმი, არის ცენტრალიზებული, ტოტალიტარული და ფაშისტური. ამ პირობებში, უნდა გაერთიანდეს თუ არა, მუშათა კლასი იმ მოძრაობასთან, რომელიც გარდაქმნილია ბურჟუაზიული დომინაციის პირობებში, ამავე ძალების რეფორმისტულ ასპექტად? მარქსისტული დიალექტია, სცემს პასუხს, თანამედროვე ბურჟუაზიულ ფორმებთან ალიანსის კითხვას.კაპიტალკიზმს, სოციალიზმის დიალექტიკურ წინაღობად, არ ჭირდებზა დახმარება იმისტვის, რომ განვითარდეს. არსებულ ის მოახდენს ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმების კონცენტრირებას, ერთ დიდ მთლიანობაში. ტრანსფორმირება და რეფორმირება, მხოლოდ და მხოლოდ, ხელს უწყობს მის განვითარებას. მუშათა მოძრაობამ უნდა უარყოს ბურჟუაზიული დომინაცია და ყველა ის საშუალება (პოლიტიკური, ეკონომიკური ფორმირებები), რაც საჭიროა კაპიტალიზმის განვითარებისთვკის. მუშათა კლასმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი ძალები, მოძველებური ტრადიციებისგან განთავისუფლებით და იმ ისტორიულ რეალობაზე უარის თქმით, რითაც ფერხდება მუშათა კლასის განვითარება, რეფორმიზმის ყველანაირ ფორმასთან ტაქტიკური ჰარმონიის მიზეზებით.

რუსეთის რევოლუცია

ყველაზე მწვავე პრობლემა თანამედროვე ისტორიის, მსოფლიო ომის შემდეგ იყო ცარისტული რეჟიმის მისი ფეოდალური სტრუქტურის კრიზისი.

მარქსისტებს, ლენინს და ბოლშევიკებს, ამ დროისთვის მომზადებული ქონდათ ნიადაგი, კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლად. პროლეტარიატის

დიქტატურის დამყარების, ფეოდალური იმპერიის და აბლოსუტური ძალაუფლობის მქონე რეჟიმის დამხობის მიზნით. ომმა შესაძლებელი გახადა ამ მიზნების რეალიზება. დროის მოკლე მონაკვეთში ძალაუფლება დინასტიიდან, არისტოკრატიიდან, სამღვდელოებიდან გადავიდა პროლეტარიატის ხელში.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ, მსოფლიოს წინასე უფრო მწვავედ დააყენა ისეთი საკითხები, რომლებიც ეხებიან კლასობრივ ბრძოლას, ბრძოლას ძალაუფლებისთის, პროლეტარული რევოლუციის სტრატეგიას.

ისტორიული ანარეკლი, ამ ფაქტების, იყო ის რომ რევიზიონიზმისა და კოლაბორაციონიზმის იდეები ჩრილში აღმოჩნდა. ყველა ქვეყნის პროლეტარული პარტია ორიენტირდა სამხედრო ბრძოლით ძალაუფლების დაპყრობაზე. მაგრამ დავიწყებულ იქნა ის გარემოებები, რომ რუსეთში მუშათა მოძრაობის წარმატებული ფაზები ემყარებოდა კაპიტალისტური სახელმწიფოს გვიანდელ ფორმაციიას და შესაბამისად მის სისუსტეებს, მაშინ როცა, ევროპულ ქვეყნებში კაპიტალიზმი სახელმწიფო ვითარდებოდა საუკუნის განმავლობაში, შესაბამისად იყო ძლიერი, ამ სიძლიერეს განაპირობებდა მისი დახვეწილი სამართლებრივი სისტემა, დემოკრატიული და საპარლამენტო ინსტიტუტებით.

საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ გადაუხვია სწორ სტრატეგიას. როცა იტალია გახად პირველი მაგალითი ტოტალიტარული ბურჟუაზიული მთავრობის, პროლეტარიატის ბრძოლა კი თავისუფლებისთვის და კონსტიტუციური უფლებების მოსაპოვებლად ანტიფაშისტურ კოალიციასთან ერთად, როგორც სტრატეგიული პოზიცია იყო ფუნდამენტურად არასწორი. ეს იგივეა რომ ვებრძოლოთ ჰიტლერს და მუსოლინს (კაპიტალისტური რეჟიმის რეფორმატორებს) კორნელოვთან და 1815 წლის საღვთო კავშირთან ერთად. ეს კი რათქმა უნდა უდიდესი კრახია ევოლუციის გზაზე.

იმპერიალისტური ფაზა, მომწიფებული ყველა ქვეყანაში, გამოვლინდება ფაშისტურ პოლიტიკურ ფორმაში, როგორც სახელმწიფოსა და კლასებს შორის არსებული ურთიერთობის შედეგი. ეს ფაზა, შეიძლება მივიღოთ ახალ შესაძლებლობად რევოლუციური იერიშისთვის, მაგრამ პროლეტარიატი არ იყენებს ამ შესაძლებლობას. ილუზიური მიზნები, აიძულო ბურჟუაზია შეწყვიტოს სამართლებრივი ჩარჩოების უგულებელყოფა ან მიაღწიო საპარლამენტო სისტემის კონსტიტუციურ გარანიტიას, არის შეცდომა. პირიქით პროლეტარიატმა უნდა მიიღოს ბურჟუაზიულ

ინსტიტუტებთან ბრძოლის ისტორიული გამოწვევა, აწარმოოს ბრძოლა სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა, რათა მოსპოს კაპიტალისტური ძალისა და კაპიტალისტურუი სახელმწიფოს ისეთი ინსტიტუტები როგორიცაა: პოლიცია, არმია, ბიურიკრატია, სასამართლო. კომუნისტური პარტიის მონაწილეობა ანტიფაშისტურ, ანტიგერმანულ ომში, იყო მნიშვნელოვანი გამანადგურებელი დარტყმა რევოლუციური მოძრაობისთვის.

შეუძლებელია რაიმე სახით აღორძინდეს პოლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა, თუ მისი ორგანიზება და ქმედება, არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში, არ იქნება თავისუფალი და კვლავ დაეფუძნება მოსკოვის მიერ ინსპირირებულ სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის თანამშრომლობას.

ახალი მოძრაობა, უნდა დაეფუძნოს ოპორტუნისტული მოძრაობისგან, მკვეთრად, განსხვავენულ პოლიტიკურ ხაზს. ის უნდა დაეფუძნოს შემდეგ მიმართულებებს:

1. უარყოფა იმ პერსპექტივის, რომ განადგურება იტალიის, გერმანიის და იაპონიის, გახსნის შესაძლებლობას დემოკრატიულ სისტემაზე დაბრუნების. მტკიცება იმის, რომ გამარჯვებულ ქვეყნებში არსებობს, ფაშისტური მეთოდების მქონე სახელმწიფო ფორმები. უარყოფა ლიბერალურ ფორმებზე გადასვლის ილუზიის და მოთხოვნა პროლეტარული ინსტიტუტების დაცვის.
2. მტკიცება იმის, რომ არსებულმა რეჟიმმა რუსეტში, დაკარგა პროლეტარული მნიშვნელობა, მესამე ინტერნაციონალის სამოქმედო გეგმის უარყოფით. ამან რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფორმებში, შექმნა ბურჟუაზიული კონტენტის განმტკიცების შესაძლებლობა. ამგვარი ევოლუცია, არ არის პრებურჟუაზიულ ფორმებთან დაბრუნება, არის განსხვავებული ისტორიული გზიდან გამოვლენილი მსგავსი ტიპის სოციალური ორგანიზაცია, რაც განავითარა სახელმწიფო კაპიტალიზმის ტოტალიტარულმა რეჟიმმა. რეჟიმი, სადაც სახელმწიფომ გახსნა შესაძლებლობა იმპერიალისტური პოტენციალის განვითარებისთვის. ამგვარ სიტოაციაში, ჩვენ არ უნდა მოვითხოვოთ რუსეთი დაუბრუნდეს საპარლამენტო დემოკრატიის ფორმას, რასაც ყველა მოდერნულ სახელმწიფოში ვხვდებით, პირიქით ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რათა აღდგეს რევოლუციური კომუნისტური პარტია რუსეთში.
3. უარყოფა მოკავშირე სახელმწიფოებთან სოლიდარობის, რომლებიც დღეს, ღერძის სახელმწიფოებთან ბრძოლას, უწოდებენ ბრძოლას ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, რეალურად კი მიზნად ისახავენ ააღორძინონ ტოტალიტარიზმი

სამართლებრივი ფორმებით, მსოფლიო კაპიტალიზმის რეკონსტრუქციის გზით.

4. უარყოფა გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკის; ეგრედ წოდებული სოციალისტური და კომუნისტური შემოთავაზების, რითაც შეუძლებელია რამე მნიშვნელოვანი შედეგის მიღება.
5. უარყოფა ყველა იმ იდეოლოგიის, რომელიც აორგანიზებს მუშათა კლასს, მესამე იმპერიალისტური მსოფლიო მომისთვის. უარყოფა საბჭოთა რუსეთის მხრიდან შემოთავაზებული ბრძოლის წარმოების, ამერიკული, ანგლო-საქსური იმპერიალიზმის წინააღმდეგ. უარყოფა დასავლური დემოკრატიების მხარდაჭერის, სტალინური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ.